№ 175 — 1877—1899 — № 175

სამშაბათი, 17 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ოთხშაბათს, 18 აგვისტოს, გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

## თავ. იასე ნოშრევანის ძის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად, ვერაზედ, იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზედ. (1—128—1)

13 აგვისტოს, დაბა აბასთუმანში გარდაიცვალა

## თეოდოსია ნიჟარაძის ასული ლორთქიფანიძისა,

რასაც **მეუღლე მისი კონსტანტინე ტარიელის-ძე ლორთქიფანიძე და მამამთილი და დედამთილი მისი** ტარიელი და კესარია ლორთქიფანიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობძანდნენ გარდაცვალებულის გვამის განსვენებაზედ დიდი-ჯიხაიშის ქაშვეთის ეკკლესიაში, ოთხშაბათს, 18 აგვისტოს.

(1—129—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანასაანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ახალი ამბავი

⁂ უწმ. სინოდმა განკარგულება მოახდინა მიეცეს ხაზინიდგან საქართველოს საექსარხოსოს იმ ფულის გარდა, რაც წინად მიეცა, 5000 მ. კიდევ. ეს ფული სამრევლო-საეკკლესიო სკოლების შენახვას უნდა მოხმარდეს.

⁂ როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, ამ თვის ოცში კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ახლად აგებულ ბაქო-დერბენდის რკინის გზის დასათვალიერებლად გაემგზავრება.

⁂ ტფილისში უკვე დაბრუნდა კახეთიდგან ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ი. ნ. სვეჩინი.

⁂ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებამ, რათა სოხუმსა და ბაქოში განზრახულ ბაღოსნობის გამოფენებზედ მეტმა მემამულემ მიიღოს მონაწილეობა, მიჰმართა შავის ზღვის პირის და კასპიის მხრის ზოგიერთ მემამულეს და სთხოვა, ეცადეთ, რომ სოფლელთაც მიიღონ მონაწილეობა ამ გამოფენაში და სოფლებიდგან რაც შეიძლება მეტი ექსპონატები იქმნას გამოგზავნილიო.

⁂ თელავის ქალაქის მოურავმა 14 აგვისტოს წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს თელავის თვით-მმართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ ქალაქს ეპატიოს 1,705 დარჩენილი საერობო გარდასახადი. სულ თელავზედ ეს გარდასახადი 3,655 მან. და 18 კაპეიკია დარჩენილი.

⁂ თელავში აზრადა აქვთ დააარსონ საქალაქო აფთეკა, აგრეთვე სამკურნალო და ქსენონი. ამ საგნის განხილვას, როგორც „კავკასი“ იუწყება, თელავის ქალაქის საბჭო ამ ახლო მომავალში შეუდგება.

⁂ რომის კათოლიკეთა პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან დაარსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას განუზრახავს პირველ დაწყებით სასწავლებლის დაარსება. ეს სასწავლებელი მოთავსებული იქნება ნიკოლოზის ქუჩაზედ, სარნოვსკის სახლში.

ხსენებულ საზოგადოებას აზრად ჰქონია ძლიერ ღარიბი მოსწავლენი გაანთავისუფლოს სწავლის ფულისაგან და უსასყიდლოდ ტანთ ჩააცვას მათ, სასწავლო ნივთები მისცეს და აგრეთვე საუზმე აძლიოს ყოველ დღე.

⁂ როგორც გაზ. „კავკასი“ იუწყება, 6 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა ახალი წესდებანი, რომელთა ძალითაც აწ არსებული საზოგადოებანი: ტფილისში—„სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება“ და „სომეხ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოება“ და ბაქოში—„სომეხთა განმანათლებელის წმ. გიორგის სახელობის საზოგადოება“ სულ სხვა გვარად იქმნებიან მოწყობილი.

⁂ 12 აგვისტოს, დუშეთის ქალაქის მამასახლისად, როგორც „ახ. მიმ.“ აუწყებენ, ერთ ხმად აურჩევიათ მ. ი. ტერტეროვი, ქალაქის მამასახლისის თანაშემწედ ნამყოფი. მამასახლისის თანაშემწედ დაუსახელებიათ ა. გრიგოლაშვილი და ალ. მარტიროზოვი; პირველს ამოსვლია 7 თეთრი კენჭი და 4 შავი, მეორეს—2 თეთრი და 9 შავი. ამნაირად თანაშემწედ აურჩევიათ ბ-ნი გრიგოლაშვილი.

⁂ სოფ. ხოვლე. 11 მარიამობის თვეს, საღამოს 12 საათზედ, ცეცხლი წაუკიდეს გლეხ დათა ანდრიას ძე ჯანაშვილის ოჯახს. ექვსი წვრილშვილის პატრონი კაცი დარჩა უპარაროდ; რაც-რამ გააჩნდა სულ ერთიან გადაეწვა. ზარალი ას თუმანს სჭარბობს. იმავე ღამეს იოსებ ხათაშვილს გადუჩეხეს სულ ძირში 200 ძირი ვაზი.

## ფელეტონი

### პესსიზმი და ოპტიმიზმი ბიოლოგიურ და სოციალურ ნიადაგზედ

(დასასრული *)

მესამოცე წლების ახალგაზდობას, მართლაც, მეტად სწამდა თვისი თავი, თვისი სამართლიანობა და გამარჯვება. ეს გარემოება აღნიშნა ბ-ნ კ. აბაშიძემ როგორც ფაქტი და არ აგვიხსნა-კი იგი. მიზეზი-კი ამ მდგომარეობისა ის იყო, რამაც შეაერთა და ერთობილად გაასულდგმულა რუსეთის საზოგადოება და მთავრობა მესამოცე წლებში. ამან ჩვენშიაც იჩინა თავი და გამოაფხიზლა ჩვენი მესამოცე წლების ახალგაზდობა. მაგრამ მესამოცე წლების ახალგაზდობა რომ ბუნებით მეტად მდიდარი იყოს ნიჭით, ვიდრე დღევანდელი ჩვენი ახალგაზდობაა, ეს კი ძლიერ საეჭვოა. ჩვენი ფსიხიკური ბუნება ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში არ შეცვლილა, რადგან არ მომხდარა იმისთანა რამე, რომ ჩვენი გონივრული განვითარება შეეჩერებინოს. იმ გვარი ღვაწლი და მოქმედება, რომლითაც ისახელა თავი მესამოცე წლებმა, დღეს ნაკლებ თვალსაჩინოა. მესამოცე წლებმა ჩვენში იფეთქა იმ ნიადაგზე, რომელიც საკმარისად მოამზადა წარსულმაც. ეს ნიადაგი პოეზიის ნიადაგია, რასაც ჩვენ წარსულსა და აწმყო დროში დიდი ალაგი უჭირავს. ჩვენი ენა, დიდად ღარიბი სამეცნიერო და განყენებულ აზრთა გამოსათქმელად, დაუშრეტელი წყაროა გრძნობათა და სულის მოძრაობის აღსანიშნავად და კიდეც ეტყობა ჩვენს პოეზიას ეს ფერადობა ენისა. ავტორი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა იოგან შერრი დიდის პატივით იხსენიებს ქართულის პოეზიის დაუშრეტელს სიმდიდრეს. ეხლა ის დრო დადგა, როდესაც პოეზია, ცოტა არ იყოს, ჩვენის „მრავალ-ჟამიერ“-ისავით გვატკბობს, თუ პოეტური ნაწარმოები არ არის აღბეჭდილი მაღალის ნიჭითა და შემოქმედებით. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ დადგა დრო ბუნების მეცნიერულად გამოკვლევისა. მხოლოდ ერთი სწავლაა რეალური და ეს სწავლა ბუნებისა და მისის კანონების ცოდნაა. ბუნების ცოდნის სიყვარულმა და საჭიროებამ, მისის კანონების დიდმა მნიშვნელობამ, წმინდა ხელოვნებასაც ბევრი ჩამოაკლო. ვინ იცის, რამდენი თანამედროვე უკვდავარი, ამ საუკუნეში, ან წარსულ საუკუნეში დაბადებული, გაიტაცა ბუნების შესწავლის სურვილმა და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას თავი დაანებებინა. თვით ბუნება და მისი კანონები საუკეთესო პოეზიაა და მათი შეგნება ფანტაზიით სავსე კაცის აღმაფრთოვანებელია. ვინ იცის, რამდენი სამხატვრო მარგალიტი დააკლო გეტემ კაცობრიობას, მაგრამ სამაგიეროდ მეცნიერებაში ხომ უკვდავი ძეგლი აიგო: მეცნიერება გეტეს საუკეთესო გენიოს მკვლევარადა სთვლის. ცხადია, ბუნების-მეტყველებამ აზროვნობაში ფართო გზა დაიჭირა დღეს; იგია უტყუარი ნიადაგი თანამედროვე ეგრეთ წოდებულ პოზიტიურ ფილოსოფიისა; ის არის მიზეზი დღევანდელის პრაქტიკულ მოქმედების ცხოვრებაში. ბუნების-მეტყველების მიერ წამოყენებულმა დედა-აზრებმა დიდი ასპარეზი დაიჭირა, აღაფრთოვანა აზრი და მისცა მას ის დიდი ძალა, ურომლისოდაც არა არის რა.

მესამოცე წლებში რუსეთში არ იყო და არა დიდი მოთხოვნილება მეცნიერებისა და ჩვენში ხომ სულ არ არსებობდა; ან, როგორც წინად ვთქვით, მეცნიერება როდი იყო ისე განვითარებულ-გაფართოებული, როგორც ეხლა, რაც უბნევს გზას როგორც მეცნიერებს, ისე მოსწავლე ახალგაზდობას. თანამედროვე ცხოვრება, ჩვენთვის მაინც, ისე რთული შეიქმნა, რომ ბ-ნ კ. აბაშიძესაგან გაგოლიათებულ მესამოცე წლების გმირებმაც, ორიოდეს გარდა, ბრძოლის ფარ-ხმალი აიხსნეს. დღეს, როდესაც უფრო საჭიროა მეთაურობა, მეტის მოთმინების ქონება და ხასიათის სიმტკიცე, ისინი მაინც და მაინც კარგს მაგალითებს ვერ აჩვენებენ ახალგაზდობას და ამის მიზეზი მოხუცებულობისაგან დაძაბუნება როდია, რადგან ისინი წვრილმან საქმეებში დიდს მხნეობასა და ძალას იჩენენ. მაშ ალბად სხვა მიზეზთა შედეგი ყოფილა ის გარემოება, თუ ეხლანდელი ახალგაზდობა ზნეობრივ და გონებრივ ძალის უქონელია, ან მას ამ ძალის გამოყენების უნარი არა აქვს საზოგადოებისა და თავის საკეთილდღეოდ მოქმედების დროს.

უყურადღებოდ არ არის დასატოვებელი ის მოვლენა, რომელიც აღნიშნა ბ-ნმა კ. აბაშიძემ. ეს არის ჩვენი ზოგიერთ ახალგაზდების სულის მდგომარეობა, რომელიც ხშირად ბარათებში იხატება. მეც უბედურება მეწვია და გადავიკითხე ეს ბარათები. უბედურება მეწვია-მეთქი, ვამბობ, იმიტომ რომ ვერა ვპოვე ამ ბარათებში გულწრფელობა, რადგან ერთის მხრით ბარათების დამწერთა ხასიათისა და ცხოვრების შესწავლა და მეორე მხრით თვით ბარათების უადგილობა და უგულწრფელობა, რომელიც ყოველს სტრიქონში გამოსჭვივის, ყოველს აშკარად მამცნევდა, რომ ეს ადამიანები თავისებურობით თავ-მომწონეობენ. ეს თავ-მომწონე ვაჟბატონები ისე იქცევიან, როგორც დოდეს ტარასკონელები, რომელნიც ძალიან იბერებიან ერთმანეთთან შეხვედრის დროს,—ვითომ-და ომის წყურვილით ვიხოცებითო, მაგრამ მარტო პრუსიელების სახელის გაგონებაც-კი აცახცახებს და აკანკალებს ხოლმე. ამ გვარი ვაჟბატონები ყველგან ყოფილან და დღესაც არიან და თუმც ისინი პირველ შეხედვით ზნეობით არ არიან დაცემულნი, მაგრამ მათი საზოგადოებაში მოქმედება სახეიროს არას წარმოადგენს. ისინი, თავისის თავის გამაღმერთებელნი, თავისებურობის ფიქრით შეშლილნი, საზოგადო საქმის წინსვლას აბორძიკებენ. ჩვენში მათნი წინაპარნიც ყოფილან, რომელთა დროთა ვითარების გამო ხან ძლიერ იჩენდენ ხოლმე თავს, ხან მალულად ჰმოქმედობდნენ, ხოლო იმათის მოქმედობით შესამჩნევად მოიწამლა ჩვენი წარსული და ახალი ცხოვრებაც. ადამიანი, რაც უნდა კარგს ვითარებაში ტრიალებდეს მისი ცხოვრება, ხშირად ეძლევინება დროების სვლას, მაგრამ მაშინვე როდი აჰყვება იქამდე, რომ საზოგადოებას, ან მეგობარს გაუზიაროს თვისი სასოწარკვეთილება. მაგრამ თავმოყვარეობით ავადმყოფნი მაშინვე მივარდებიან კალამს და, ჩაილდ-ჰაროლდის მანტიით შემოსილნი,

*) იხ. „ივერია“ № 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეორე წელიწადია, სოფელს უნდა ზარი იყიდოს ეკკლესიისა, მაგრამ ჩვენი უთაურობით დღემდის ვერ გვიყიდნია.

დარები აქ ნამდვილი საკალოეა. მოსავალი ჭირნახულისა საშუალოა. ვაზსაც კარგად ასხია, თუ არ გაფუჭდა.

*** გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-ის სიტყვით, 12 აგვისტოს, ბათუმის მახლობლად, კიდაც ბოროტ-გამზრახველს მოუკლავს ქართველი მაჭმადიანი იდიაადა კომახიძე. მკვლელი მიჭპარვია კომახიძეს და ისე მოუკლავს. კომახიძეს დიდი პატივის-ცემა ჰქონდა მოპოვებული, ამიტომ იმისმა მკვლელობამ ყველანი დაალონა.

*** ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა იმის გამოძიებას, თუ ვინ მოახდინა სიყალბენი ქალაქის დაფასების უწყებებსა, წიგნებსა და საბუთის ქაღალდებში.

*** 14 აგვისტოს ტფილისის მოქალაქემ გიორგი ქველაძემ განაცხადა პოლიციაში რომ დილის 5 საათზედ, იარმუკაში, ჩემს ჩაის დუქანში, პირი უნდა დამებანა და ამისთვის ოქროს საათი, ძეწკვი და ვერცხლის ქამარი მოვიხსენი, აგრეთვე ამოვიღე ქისიდგან 226 მანეთი, ყველა ეს ხელსახოცში შევახვიე და დახლზედ დავდეო. ამ დროს სპარსელმა, აისორმა ბაბამ დაავლო ხელი ხელსახოცსა, გაიქცა და სადღაც დაიმალაო, ქველაძის სიტყვით საათი 250 მანეთი ღირდა, ვერცხლის ქამარი-კი 75 მანეთი.

*** 12 აგვისტოს სპარსელმა ჰივაზ-ჯაფარ-ოღლიმ განაცხადა პოლიციაში, რომ ღამე სადგურის მახლობლად ქისიდგან 45 მანეთი ამომაცალესო. ფული მოუპარავს, როგორც პოლიციას აღმოუჩენია, სოფ. გურჯაანის მცხოვრებს ნიკ. ფურცელაძეს.

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ მე-173 ნომერში დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ. ბოლოში ამ წერილს აწერია: „ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს მმართველი ნ. ჩხეიძე“, უნდა იყოს „ნ. მხეიძე.“

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ქვემო მაჩხაანი.** სოფ. ქვემო-მაჩხაანისათვის და ერთობ ქიზიყისათვის 12 აგვისტო ფრიად შესანიშნავი იყო: ამ დღეს აკურთხეს აქ პირველი ღვინის ქსენონი. სწორედ პირველი საათი იყო, როდესაც ქსენონისა და დეპოს ეზოში მოვიდა ბ ნი ტფილისის გუბერნატორი, რომელსაც ტფილისელ მოხელეთ გარდა მოჰყვნენ სიღნაღის მაზრის უფროსი, მაჩხაანის ბოქაული და ქიზიყის მოხელენი, მამასახლისები, ქიზიყის თავადაზნაურები და სხ. მირზაანისა და მაჩხაანის სოფლებმა მიართვეს ბ-ნ გუბერნატორს პურ-მარილი და მ. ლაპიაშვილმა სიტყვა მოახსენა. ლაპიაშვილმა შესჩივლა გუბერნატორს ქიზიყის შევიწროება ტყის მცველებისაგან და შეღავათი სთხოვა. გარდა ამისა მანვე სთხოვა, რომ ბერძნის თოფები დაგვირიგეთო. მეორე თხოვნის დაკმაყოფილებას დაჰპირდა ბ-ნი გუბერნატორი. შემდეგ ჟუგაანის საზოგადოებამ მიართვა პურ-მარილი. პურ-მარილის მიღების შემდეგ, ბ-ნი გუბერნატორი წავიდა ქსენონისაკენ, სადაც დახვდნენ სიღნაღის ზოგიერთი მოხელენი. ქსენონში ეკკლესიიდგან მოვიდა სამღვდელოება დროშებით, ორის დეკანოზისა და ბლაღოჩინ-მღვდლების წინამძღოლობით. აქ დეკანოზმა მ. ბეგიაშვილმა პარაკლისის დაწყების წინად ქართულს ენაზედ წარმოსთქვა დროის შესაფერი სიტყვა. პარაკლისის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა რუსულს ენაზედ ბ-ნმა ა. ნატროშვილმა. ორივე ორატორმა მადლობა უძღვნა საზოგადოების მხრივ როგორც გუბერნატორს, აგრეთვე მაზრის უფროსს და ბოქაულს თ. ერისთავს. ხოლო ბ-ნმა ნატროშვილმა ამათ გარდა მადლობა გადაუხადა აგრეთვე დ. ნადირაძესაც. სიტყვების გათავების შემდეგ ბ-ნმა გუბერნატორმა სთქვა, რომ მადლობის ღირსნი მე-კი არა, ის გლეხები არიან, რომლებმაც შეიგნეს ქსენონის სარგებლობა და ფული გამოიღეს ამ საკეთილო საქმის განსახორციელებლადო. ქსენონის კურთხევისა და დათვალიერების შემდეგ გუბერნატორი მიიწვიეს მომხმარებელ საზოგადოების (დეპოს) დასათვალიერებლად. აქ ა. ნატროშვილმა მცირე სიტყვა მოახსენა და სთხოვა, რომ სამეურნეო კაპიტალიდგან მთავრობამ ასესხოს დეპოს ორი ათას ხუთასი თუმანი, ორი ათასი მატყლისა და თამბაქოს საწყობების მოსამზადებლად, ხოლო დანარჩენი ხუთასი თუმანი დეპოს მოქმედების გასაძლიერებლად. თანაც მოახსენა, რომ დეპო ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაშია, რადგანაც ბევრნი უწევენ კონკურენციას და ეს მეორე წელიწადია ზარალი მოგვდისო. ბ-ნმა გუბერნატორმა ყურადღებით მოისმინა თხოვნა და შემდეგ სთქვა: დაპირებით ახლა მე ვერაფერს დაგპირდებით, რადგანაც, სხვა არა იყოს-რა, წესდებაც არ არის დამტკიცებული მაგ კაპიტალის მოხმარების შესახებაო, მაგრამ ამას-კი ვიტყვი, რომ, რადგანაც სამელიორაციო კრედიტის დანიშნულება აქვს იმ ფულს, თქვენ შეგიძლიანთ ისესხოთო, თუ წესდება ისე დამტკიცდა, როგორც აქედგან არის წარდგენილი პეტერბურგშიო. მაინცა და მაინც მე დიდათ ვეცდები, რომ ის ფული სესხად თქვენ მოგეცეთ, ხოლო რადგანაც მე მაგისი უფლება არა მაქვს, უმაღლეს მთავრობის წინაშე აღვძრავ შუამდგომლობას, როცა წესდება დამტკიცდებაო; ხოლო თქვენ კიდევ მომაგონეთ ეგ საქმეო. აქ გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა მახარაძემ მოახსენა, რომ ამ ცოტა ხანში წლიურს ანგარიშს წარმოგიდგენთ და თან მოხსენებას მოვაყოლებთ დეპოს მდგომარეობისა და ფულის სესხების შესახებაცაო. ბოლოს გუბერნატორმა იკითხა წევრების რიცხვი, პაის რაოდენობა და სხ. ყველა ამ კითხვების შესახებ პასუხის მიღების შემდეგ, ბ-ნმა გუბერნატორმა ისურვა დეპოს გამგეობა და იქვე გამგეს გადასცა ერთი თუმანი, საწევრო ფული: მეც წევრად ჩამწერეთო. წევრად ჩაეწერა აგრეთვე გუბერნიის ექიმი ტ. ს. ქიქოძე. დეპოს დათვალიერების შემდეგ ბ ნი გუბერნატორი, გუბერნიის ექიმი და სხვა მიპატიჟებული სტუმრები გაემართნენ ახლად აშენებულ სათიატრო დარბაზში, სადაც მათთვის იყო მომზადებული სადილი. სადილმა მხიარულად ჩაიარა.

სადილზედ დამსწრე პირთა სადღეგრძელო სათითაოდ დალიეს. ბ-ნმა გუბერნატორმა წარმოსთქვა მთავარ-მართებლის სადღეგრძელო და ამასთანავე წაიკითხა ის დეპეშა, რომელიც მას დაეწერა თ. გოლიცინთან გასაგზავნად. ბ-ნი გუბერნატორი, აუწყებდა რა მთავარ მართებელს კურთხ ქსენონის დაარსებას, სწერდა, რომ ქიზიყელები სმენ თქვენ მეორფასს სადღეგრძელოსო. ბ-ნმა ქიქოძემ დალია თ. ერისთავის და დ. ნადირაძის სადღეგრძელო, რომელნიც დიდს მონაწილეობას იღებდნენ ქსენონის დაარსებაში. საათის ხუთზედ გუბერნატორი აბრძანდა სადილიდგან და წასასვლელად მოემზადა.

ბლაღოჩინებმა კურთხ თხოვნა-საჩივრით მიჰმართეს გუბერნატორს და შესჩივლეს, რომ გლეხები კოდის პურს არ იძლევიანო. რამდენადაც ეს ჩემგან შესაძლებელი იქნება, დაგეხმარებითო, უთხრა მათ გუბერნატორმა.

ამის შემდეგ ბ-ნი გუბერნატორი თავისის მხლებლებით წავიდა წმ. ნინოს მონასტერში.

ქსენონის კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველას, განურჩევლად, დიდსა თუ პატარას, სიამოვნების ღიმილი მოსდიოდა ტუჩზედ.

დამსწრე

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** გაზეთი „Indépendance Belge“, დარწმუნებულია, რომ დრეიფუსი რენის სასამართლოს მიერ ხელ-ახლა იქმნება გამტყუნებულიო, თუმცა, მისის აზრით, იმისი უდანაშაულობა მთელი ქვეყნიერობისათვის ცხადია. სამხედრო სასამართლო შეასრულებს გენერლების მერსიესა, ბუადეფრისა და გონზის ბრძანებასო,—ამბობს გაზეთი,—და ხელმეორედ სამარცხვინო საქმე მოხდებაო. გაზეთის აზრით, მხოლოდ ერთი საშუალებაა ასეთ განჩინების თავიდგან ასაშორებლად: საჭიროა, რომ გამოქვეყნდეს ის საბუთის ქაღალდები, რომელნიც ესტერგაზმა გადასცა შვარცკოპენს. აქამდის გერმანია არ ერეოდა დრეიფუსის საქმეში და ამისათვის ქების ღირსიაო. მაგრამ ეხლა, როცა მერსიემ და როჟემ საქმეში ჩაავლეს უცხო ქვეყნების სამხედრო აგენტების სახელები, დრო დადგა, გერმანიამ ხმა ამოიღოსო, თორემ ქვეყანა ასე იფიქრებს, რომ გერმანია გულ გრილად უყურებდა უდანაშაულო კაცის დასჯას და არ მოიწადინა სიმართლის გამოაშკარავებაო.

როგორც „Neue Freise Presse“-ს სწერენ ბერლინიდგან, იქაც საეჭვოდ მიაჩნიათ თურმე დრეიფუსის გამართლება. ამისდა მიუხედავად,—ამბობს კორესპონდენტი,—გერმანიის მხრით ნურაფრის გამოაშკარავებას ნუ მოელიანო. გერმანიამ ერთხელ და სამუდამოდ განაცხადა რეიხსტაგში გრაფის ბიულოვის პირით, რომ მე არავითარი საქმე არა მქონია დრეიფუსთანაო. ამ განცხადებამ ყველანი უნდა დააკმაყოფილოს, ვისაც სურს სიმართლეს უყური დაუგდოსო. კორესპონდენტის სიტყვით, გერმანიაში ყველამ კარგად იცის, და სხვაზედ უფრო—იმპერატორმა, რომ დრეიფუსი ტყუილად იტანჯება, მაგრამ გერმანიას არ შეუძლიან დაასახელოს თავისი ნამდვილი აგენტიო. არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლიან თავისი აგენტის გაცემაო.

# დამაკვირდი

სიტყუაჲ, აღძრული გულსა შინა,
წყაროჲ არს წყლისა მდინარისა.

გიორგი მთაწმინდელი

* * *

სცდილობენ ორიოდე გულდამწვავი სტრიქონი შეჰხანხლონ. ამგვარი ადამიანები პესსიმიზმის წარმომადგენელნი არ არიან; პესსიმიზმი მთელი სამეცნიერო მცნებაა, ფილოსოფიური მოძღვრებაა.

წინედ ნათქვამი გვქონდა, რომ თანამედროვე ცხოვრებამ, არამც თუ ჩვენში, მთელ ევროპაშიაც ფერი იცვალა. ერთის მხრით მეცნიერების ფარგალი მეტად გაიშალა, ფაქტიური მხარე მეცნიერებისა ძველ დროსთან შედარებით მეტად გამდიდრდა; მეცნიერება მოელის იმ დროს, როდესაც უფრო განმარტივდება თვალსაჩინო შემაკავშირებელ და სახელმძღვანელო დედა-აზრების დადგენით.—მაგრამ ჯერ-ჯერობით კი უფრო დანაწილებულია მეცნიერება და თვით მეცნიერთა შრომაც. მეორეს მხრივ თითონ ცხოვრებამაც იცვალა ფერი და პრაქტიკულად გარდაიქცა. დადგა იმისთანა დრო, როდესაც ტვინთან ერთად მაჯა-ძარღვიც უნდა ჰმოქმედობდეს ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ეს ვითარება დღეს ჩვენთვის უფრო თვალსაჩინო შეიქმნა. ჩვენი წარსული, სხვა-დასხვა გარემოების წყალობით, მარტო ომით სცხოვრებდა, ომი იყო ჩვენი წყურვილი. ომის წყურვილი დღესაც დიდია ჩვენში, მაგრამ ომი არ არის ასპარეზი დღევანდელის ცხოვრებისა. დღევანდელი დრო განიზომება მოქალაქობრივის ცხოვრებით, რაც შეადგენს სულიერ სოციალურ თვისებათა უმაღლესს განვითარებას და ამ თვისებათა გამოყენებას. მაღალი განვითარება ადამიანისა მარტო აზროვნება-კი არა, აგრეთვე ამ აზროვნობის შესაფერისი თვითმოქმედებაცაა. ჩვენი მესამოცე წლების ლიტერატურა უფრო სიტყვიერი იყო. დიდი იყო მისი გავლენა საზოგადოების თვითცნობიერების გაღვიძებაზედ, მაგრამ ეს გავლენა რომ ძლიერი ყოფილიყო, სიტყვა უფრო მეტად უნდა გარდაქცეულიყო საქმედ. სიტყვა უსაქმოდ მკვდარ არს. ეს სიტყვიერი მოქმედება, პრაქტიკულ მოქმედების უნარის უქონლობა შთამომავლობით გარდმოეცა ძველის თაობიდგან ახალს თაობას. მაგრამ რაკი ეხლანდელი ცხოვრება თითქმის ერთიანად პრაქტიკულ მოქმედებად არის გარდაქცეული, ამიტომ ჩვენს ახალგაზდობას უფრო მეტად დაებნა გზა. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ასეა, მაგრამ უსამართლობა იქმნება, რომ ახალგაზდობას უნიჭობა და უჭკუობა დავწამოთ. სიმართლეს თუ ვიტყვით, მართლაც დიდი ნიჭი, დიდი გამჭრიახობაა საჭირო ეხლანდელს გარემოებაში და ამასთანავე დიდი მხნეობაც, რომ ადამიანმა ცოტად მაინც ამორჩეულს საგანს მიაღწიოს. ჩვენის ახალთაობის ნაკლულევანება მესამოცე წლების მოღვაწეების ნაკლულევანებაა, მაგრამ იმათი ეს ნაკლულევანება დაჰფარა, უჩინარ ჰყო მაშინდელმა ძლიერმა გრძნობის სიცხოველემ, სულის აღფრთოვანებამ, რაც რუსეთის ახალმა ცვლილებებმა გამოიწვია. ამასთანავე მესამოცე წლების თაობის ქონებრივი მდგომარეობა და დამოუკიდებლობა სულ სხვა იყო და ეს გარემობაც მნიშვნელობას არ იყო მოკლებული. წინაპარმა იმ თაობას საკმარისად დაუტოვა ცხოვრებისათვის საჭირო ლუკმა პური და ამიტომ შეეძლო რაოდენადმე მაინც დამოუკიდებელი ცხოვრება ჰქონოდა.

ზოგს უკვირს, დიდ ღვაწლად მიაჩნია, რომ ბევრმა მათგანმა ზურგი შეაქცია სახელმწიფო სამსახურს, რომელშიაც შესვლა ისე ძნელი როდი იყო მაშინ, როგორც დღეს. ისინი არა ჰსაჭიროებდნენ ასეთს სამსახურს, რადგან ცხოვრებისაგან უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ. დღეს-კი ისეთი მდგომარეობა დაგვიდგა, რომ ყველას სიღარიბე გვეწვია, უფრო ძველის თაობის წინ-დაუხედაობის წყალობით, თუმც ჩვენის სიღარიბის მიზეზი სხვა ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოებანიც არის. ეს წინდაუხედაობა ისეთია, რომ მართლა გულს შეუწუხებს ადამიანს. ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიწა-წყალს ერისათვის, ერის აწმყოსა და მომავლისათვის. თუ იქამდის მიწა-წყალს ადვილად გაურბოდა კაცი იმ იმედით, რომ ადვილი იყო სამსახურში შესვლა, ან სხვა რაიმე საქმის გამოძებნა, ეხლა ეს ასე ადვილი როდი გახლავთ და შემდეგ უფრო გაძნელდება. ადვილად დავუბრუნდებოდით ჩვენსავე მიწა-წყალს და მტკიცე ნიადაგიც გვექნებოდა ფეხქვეშ, რომ მოუფიქრებელ მიწა-წყლის დაკარგვას ძალა-უნებურად არ მოესპო ეს ერთად ერთი მტკიცე სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის მომავლისა. ბევრ სხვა მოსაზრებასთან ეს გარემოებაც მცირე ოდნად არ არის სამწუხარო ჩვენის ახალის თაობისათვის. ცხოვრებისათვის საჭირო გარემოებას მოკლებული ადამიანი,—და საკუთარი მიწა-წყალი ხომ ერთად ერთ საუკეთესო გარემოებას შეადგენს ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის,—მოკლებულია აგრეთვე თავისუფლებასაც, და ამ გვარი ადამიანი ხომ ცუდი პოლიტიკური ცხოველიც არის, ვიტყვი არისტოტელის სიტყვით. ამ გვარ ადამიანს უფრო იშვიათად მოეპოვება იმისთანა თვისებანი, რომლებიც საჭიროა საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის იმიტომ, რომ იგი დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის. სიღარიბეს ბევრი ცუდი თვისება მოსდევს. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ წარსულმა, როგორც ადრეცა ვთქვი, მოქალაქობრივის ცხოვრების სურვილი და უნარი არ დაგვიტოვა. წარსული მოკლებული იყო ამ გვარ ცხოვრებას და უცბად და უნიადაგოდ ხომ არა იქმნება რა. ხშირად უნარი არა გვქონია და არც ეხლა გვაქვს, რომ აზროვნობასთან ერთად პატიოსანს მოქმედებასაც დიდი ალაგი დავაჭერინოთ. წარსულში არა გვქონია ერთობა, ერთმანეთის გატანა და შეერთებულის ძალით მოქმედების შნო და სურვილი. ერთობის შეგნება და დიდი მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებაში მხოლოდ დღეს იკიდებს ფეხს.

აქ ერთი საყურადღებო მოვლენა უნდა აღვნიშნოთ. თუ კარგად დავაკვირდებით მოაზრე ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას, მაშინვე შევნიშნავთ, რომ ჩვენში თეორიული მოსაზრება სჭარბობს, ჩვენ უფრო თეორეტიკები ვართ. მართლაც, ჩვენში თუ ცოტად მაინც მიუღია განათლება ვისმეს, იგი უეჭველად დიდის ხალისით ეპოტინება განყენებულ აზრებს, თეორიას; მოქმედების მხრივ-კი სრულიად არ ეტყობა სიცხოველე და არცა მოქმედებს. ამ მხრივ სათვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენენ სემინარიელები, რომლებიც შესაფერს მომზადებას მოკლებულნი არიან. ჯერ კიდევ ჩვილნი

დედმამის უსიყვარულო და ურგები შვილი უმწარეა შხამისა და სამსალისა, და მაყივნებელია გვარისა.

ლასურიძე

* * *

სარგებელ არს დასაბამსა ფრიად სლვაჲ და ადრე გაცემაჲ.

თეოდორე სტუდიელი

## ქურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

აწინდელი ტეხნიკის მეოხებით განათლებულს ქვეყნებში ბევრი რამ ისეთი გამოიყენეს, რასაც წინად ყურადღებას არავინ აქცევდა და რასაც თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა. ჩქარი მდინარეები, წყალვარდნილები და მრავალი სხვა სამუშაო იარაღად გაჰხადეს და იმათ შემწეობით უზარმაზარ ქარხნებს აწარმოებენ და სხვა საქმეებს აკეთებინებენ. წინადაც სარგებლობდნენ, მაგალითად, მდინარეებით: აარსებდნენ წისქვილებს და სხვას, მაგრამ ის სარგებლობა მცირედი იყო. ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, გერმანია, შეერთებული შტატები, საფრანგეთი და სხვა, იშვიათად შეჰხვდებით ჩქარ მდინარეს ან წყალვარდნილს, რომლის ძალასაც მრავალ გვარად არ იყენებდნენ. ეხლა ამასაც არ სჯერდებიან და აზრადა აქვთ ზღვის ტალღის ძალაც გამოიყენონ. როგორც გაზეთები იუწყებიან, ერთს ინგლისელს კაპიტალისტს განუზრახავს გამართოს სუტლენდში ელექტრონის უშვებელი მანქანები, რომელიც მოძრაობაში ზღვის ტალღებმა უნდა მოიყვანონ. ამ საქმეს 15 მილიონი ფრანკი დასჭირდება. კაპიტალისტმა შუამდგომლობა აღძრა ლონდონის თვით-მმართველობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ამ მანქანების შემწეობით გაანათოს ელექტრონით ლონდონის ყველა საზოგადო დაწესებულება და ქუჩები, ხოლო თუ პატრონნი თანახმა იქმნებიან, კერძო სახლები, ქარხნები და სხვა კერძო შენობანიც. ქალაქის თვით-მმართველობას ჯერ პასუხი არ მიუცია. თუ ეს მონოპოლია მიანიჭა კაპიტალისტს, მაშინ ამ უზარმაზარის ქალაქის განათების საქმე მთლად იმის ხელში იქმნება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აგვისტო.

**პარიჟი.** „Ag Nat.“ St. Vincent de Paul-ის ეკკლესიის მღვდელი გუშინ გერენთან იყო და ურჩია წინააღმდეგობაზედ ხელი აიღოს. საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. 11 საათზედ ერთი ალჟირელი მივიდა იმ პოლიციელებთან, რომელნიც შაბროლის ქუჩას გარს ერტყნენ და მოინომა გერენისათვის პაკეტის მიცემა. გერენი ამ დროს პირველ სართულის ფანჯარასთან იდგა. პოლიციელებმა შეიპყრეს ალჟირელი. ამის გამო გერენი გარედ გამოვიდა და რევოლვერი ორჯელ ესროლა პოლიციელებს და ორჯელვე ააცდინა. რადგანაც ტყვია ვერსად იპოვნეს, ჰფიქრობენ, რომ რევოლვერი ტყვიით არ იყო გატენილი. დღეს, დილის 6 საათზედ, გერენმა შავი დროშა გამოჰკიდა.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო.“ არ იციან, რა მიზეზით გამოჰკიდა გერენმა შავი დროშა. აბატ დეზერს ნება დაერთო შესულიყო დამწყვდეულებთან, მაგრამ აბატმა ნახევარი საათი ჰრეკა ზარი და პასუხი არავინ გასცა. აბატმა კარებს ყური მიადო, მაგრამ არავითარი ხმაურობა არ მოესმა შიგნიდგან. ამისდა მიუხედავად, არა ჰფიქრობენ, რომ დამწყვდეულებს თავი მოეკლათ.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო“. კრება დაიწყო 6 საათსა და 30 წუთზედ. ბერტილიონმა განაგრძო თავისი ჩვენება. დრეიფუსის დამნაშავეობის საბუთად ბერტილიონმა ისიც მოიყვანა, რომ დრეიფუსის ხელნაწერებში შეხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც განგებ არის გადმოხატულიო. დემანჟმა გადასცა დრეიფუსს ერთად-ერთი ოტისკი. დრეიფუსმა მხოლოდ მხარები აიწია. ბერტილიონმა ფიცით დაამთავრა და სთქვა, რომ ბორდერო დრეიფუსის საქმეაო. დრეიფუსმა ყურადღება არც-კი მიაქცია. შემდეგ დრეიფუსს შეეკითხნენ სიტყვის „საძაგელის“ გამო, რომელთაც მას 1894 წ. საქმის დროს ბერტილიონისათვის მიუმართავს.—„ბერტილიონი ყოველთვის მეუბნებოდა,—სთქვა დრეიფუსმა,—რომ დამნაშავე ხარო; მაშინ მე „საძაგელი“ ვუწოდეო“. დრეიფუსმა დაუმატა: „ბერტილიონის ჩვენებას პასუხს არ ვუკებ, მაგრამ იმას-კი ყოველთვის ვიტყვი, რომ ბორდეროს ავტორი მე არა ვარო“, (აღელვებაა). შემდეგ დრეიფუსმა სთქვა, საიდუმლო მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს იმ შენიშვნებს, რომლებსაც სამხედრო სამინისტროს აფიცრები ადგენდნენო.

არტილერიის აფიცერი ვალერიო, რომელიც მთავრობის კომისარმა გამოიხმო, დაემოწმა ბერტილიონის აზრს. ვალერიომ განაცხადა, საბუთის ქაღალდი განგებ ისეა შედგენილი, რომ ყალბსა ჰგავნდესო. მარტო დრეიფუსს შეეძლო ყოფილიყო ბორდეროს ავტორიო (აღელვებაა). დრეიფუსმა წინანდელი განცხადებანი გაიმეორა და, სხვათა შორის, სთქვა, ის მოსაზრება, რომ ვითომ საბუთის ქაღალდისთვის ყალბის სახე მიმეცეს, რათა შემდეგ ასეთის ხერხით შემძლებოდა თავისს გამართლება, თავისს თავად ირღვევა, რადგანაც შემდეგ, როდესაც სამართალში მიმცეს, ასეთის გასამართლებელ საშუალებისათვის არ მიმიმართავსო.

15 აგვისტო

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო“. კაპიტანმა ფრეიშტეტტერმა განაცხადა, რომ, როდესაც 1894 წლის სასამართლოს წევრი ვიყავი, დრეიფუსის დამნაშავეობაში დამარწმუნა ექსპერტთა, ანრისა და დიუ-პატის ჩვენებამ და აგრეთვე საბუთის ქაღალდებმაო. მოწმემ ჩამოთვალა საიდუმლო dossier-ის საბუთის ქაღალდები. ამ ქაღალდებს შეადგენდნენ ბიოგრაფიული შენიშვნანი, ის საბუთის ქაღალდი, სადაც ნათქვამია: „ეს საზიზღარი დ.“, დევინიონის წერილები და, დასასრულ, უცხოქვეყნელის ატტაშეს დეპეშა, რომელშიაც პირდაპირ ნათქვამია, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. (ხმაურობა და ხანგრძლივი მოძრაობაა). მორელმა და მერსიემ სიტყვის თქმის ნება მოითხოვეს. მორელმა განმარტა თავისი წინანდელი სიტყვები: „მე მხოლოდ ერთი საბუთის ქაღალდი წავიკითხე“. მორელმა სთქვა, მე არ დავამთავრე ჩემი აზრი ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მინდოდა საიდუმლო დამერღვია, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ლაბორის იმაზედ მეტი არ ეთქმევინებინა ჩემთვის, რაცა მსურდა. მინდოდა-კი შემდეგი მეთქვა: „კერძოდ მე წავიკითხე მხოლოდ ერთი საბუთის ქაღალდი, დანარჩენი მდივანს გარდავეცი და უთხარი: „მე დავიღალე მეთქი“. (დარბაზში საშინელი ხმაურობა ასტყდა. მორელი ძალიან აღელვებული იყო, ხელები უკანკალებდა. ფრეიშტეტტერს იმისთვის თვალი არ მოუშორებია). მორელმა სთქვა, რომ გულდასმით არ უსმენდი საბუდის ქაღალდების კითხვას, რადგან საინტერესო არ იყოო. ფრეიშტეტტერი-კი ამტკიცებდა, რომ მორელს ყველა საბუთის ქაღალდი ხელში ეჭირა და თვითონ კითხულობდაო.. (საშინელი აღელვება), მორელი ფერ წასული იდგა და წინააღმდეგობას აცხადებდა. ლაბორი შეეკითხა მერსიეს 2 ნოემბერს დეპეშის შესახებ. მერსიე და ფრეიშტეტტერი შეეკამათნენ ერთმანეთს ბურჟეში მომხდარ ამბების გაცემის შესახებ. ფრეიშტეტტერმა სთქვა, რომ საქმე რობეტის იარაღს შეეხებაო. მერსიე წინააღმდეგს ამბობდა. ფრეიშტეტტერი თავისას იმეორებდა და ამბობდა, რომ 2 ნოემბრის დეპეშა 1894 წლის სასამართლოს ეუწყაო. მერსიე იძახდა,—არაო. ლაბორიმ ამის გამო მოითხოვა, რომ დიუ-პატის ოფიციალურად ჩვენება ჩამოართვან, რადგანაც, მერსიე ამბობს, რომ საბუთის ქაღალდი იმან მოიტანა და კონვერტში ჩასდოო. მერსიემ გაუსწორა და სთქვა, დიუ-პატიმ კონვერტი მოიტანა, ხოლო სანდგერმა დაბეჭდაო. (მოძრაობაა). ინცინდენტი დასრულდა. ფრეიშტეტტერის ჩვენებას დიდი გავლენა ჰქონდა. ხატვის მასწავლებელმა ფერაფაგარმა (?) დაარღვია ბერტილიონის სისტემა. კრება ორშაბათამდის გადაიდო.

**პარიჟი.** „Nat. Ag.“ მთავარი ბრალმდებელი გერენის წინააღმდეგ საჩივარს აღძრავს—კაცის მოკვლა განიზრახა გუშინ, რევოლვერი რომ გაისროლაო. ტყვიები პირდაპირ სახლში იპოვნეს.

გაქომძიებელმა დღეს ჩვენება ჩამოართვა სებასტიან ფორს, ფორი ამბობს, ჩხუბსა და უწესოებაში მონაწილეობა არ მიმიღიაო.

**მადრიდი.** „ჰავასის საგ.“ იუწყებიან, რომ ოპორტოს მახლობლად ორი კაცი გახდა ავად შავის ჭირითაო.

**ოპორტო.** „ჰავასის სააგენტო“. შავის ჭირის გაჩენიდგან სულ ავად გახდა 51 კაცი. გარდაიცვალა ამათგან 18 კაცი. დღეს არავინ გამხდარა ავად.

16 აგვისტო

**კიევი.** პურის ვაჭრობა კარგად მიდის. გამყიდველნი ფასს არ უკლებენ. ვოლინის გუბერნიაში დიდძალს სიმიდს ჰყიდულობენ. კიევვორონეჟის რკინის გზის სადგურებზედ ხორბალი იყიდება 78—85, კიევში—88—90.

**კოპენჰაგენი.** მეფემ შინაგან საქმეთა მინისტრად დაჰნიშნა ლიუდვიგ ბრანსენი.

**პარიჟი.** დილის $6^1/_2$ საათზედ ერთმა კაცმა მოახერხა შაბროლის

---

გონებით, ისინი იმისთანა რთულ საგნებს ეტანებიან, როგორიცაა, მაგალითად, პსიხოლოგია, ფილოსოფია, რომელიც, როგორც რთული მეცნიერება, სხვა საგნების ცოდნასაც მოითხოვს, და ამ საგნების ხსენებაც-კი არ არის საშუალო სასწავლებლებში. *) სხვა საშუალო და მაღალ სასწავლებლებშიაც თეორეტიკებისა და იდეოლოგების შემქნელი გარემოება უფრო მეტია, ვიდრე ევროპაში, რადგან რუსეთში საზოგადოდ და ჩვენში კერძოდ თვით ცხოვრებაც მრავალ მხრივ პრაქტიკულს მოქმედებას მოკლებულია: რწმენა იდეათა, მათის შეგნების დიდი მნიშვნელობა ქვეყნიერების ტრიალში ხშირად რიყეზედ სტოვებს ადამიანს და თუმც ეს გარემოება მაინც და მაინც არ უნდა შემოჰსავდეს იმას ნამდვილის პესსიმიზმის სამოსელით, მაინც ხშირად რაღაცა უძლობა და უფერულობა ეტყობა. ეს რომ ასე არ მოხდეს, აუცილებლად საჭიროა, რომ ადამიანი ერთნაირად ითვისებდეს ცოდნას და ამ ცოდნის მაშინვე შეძლებისა და გვარად განხორციელებას, პრაქტიკულად გამოყენებას. ამ შემთხვევაში ადამიანი უფრო სრული იქმნება და აღზრდის იდეალიც ხომ ეს არის.

რწმენას და იმისს პრაქტიკულად განხორციელებას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის სულიერ თანასწორობის დაცვაში, ეს საკმარისად განგვიმარტა დღეს პსიხოლოგიამ და ამით დიდი ნაბიჯი გადადგა მეცნიერებამ პესსიმიზმის ახსნილად. აი რას ამბობს გენლე ადამიანის სულის მელანხოლიურ მდგომარეობის შესახებ: ხშირად ადამიანს არა აქვს შეფერებული მგრძნობიარე ძალა და მოძრაობა. ამ გვარ ადამიანის ნერვების აგებულებაში მრავალი ცხოველი შთაბეჭდილება გროვდება და ერთდება, ხოლო არ იხარჯება მისის მოძრაობით, მოქმედებითაო. ამავე აზრისაა ფსიხოლოგი სელლი, რომელიც პესსიმისტურ შეხედულობის განსამარტებლადა სწერს: „იქ, სადაც ცხოვრების უბედურებანი მეტის გრძნობიერებით აღიბეჭდება აგებულებაში, სადაც აღგზნებული ოცნება დასტრიალებს ცხოვრების იდეალურ ნეტარებას და იმავე დროს შედარებით სუსტია პრაქტიკული მისწრაფება—იქ დიდი ნიადაგია მომზადებული უსწორ-მასწორობისა პესსიმისტიურ სულის მდგომარეობისათვის.“ ჩვენის აზრით, ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ დღეს ბევრმა მესამოცე ბრწყინვალე წლების წარმომადგენელმა დაიქვეითა, სულის თანასწორობა დაჰკარგა და უიმედობის ბურუსით შეიმოსა თავი თვისი. ვგონებთ, სულიერ ცხოვრებასა და თვით გონიერ პრაქტიკულ მოქმედებას შორის თანასწორადაა მიზეზი, რომ კიდევ დაგვრჩა ორიოდე მესამოცე წლების მოღვაწე, რომელიც დღესაც მხნეობს და იღვწის. ეს უთანასწორობა ვე უშლის ხელს ჩვენს ახალგაზდობასაც, ნიჭით არა ნაკლებს.

მხოლოდ თანამედროვე ცოდნის შესაფერისი მსჯელობა და ამავე ცოდნის შესაფერისი მოქმედება ჰქმნის კაცს თავისუფლად გარდამეტებულ ოცნებობისა და იმედიანობისაგან. ამ გვარი მსჯელობა და მის შესაფერისად მოქმედება იმითი-კი არ არის მარტო მარგებელი, რომ პირდაპირ საქმიანობისაკენ, საგნისაკენ მიჰყავს ადამიანი. არა, ამ გვარაზროვნობას, სხვათა შორის, მოსდევს სულიერი მშვიდობიანობა როგორც კერძო კაცისა, ისე მთელის საზოგადოებისა. არავისთვის არ არის კარგი არც გადაჭარბებული უიმედობა—პესსიმიზმი, რომელიც ხშირად იმედების გაცრუებას მოსდევს ხოლმე, არც მომეტებული იმედიანობა—ოპტიმიზმი. ეს სულის ორგვარი მდგომარეობა ერთი მეორეს არ უნდა სჭარბობდეს ძლიერ შესამჩნევათ. როდესაც ერთი ამათგანი ძლიერ სჭარბობს და მეორე-კი ძლიერ სუსტობს, მაშინ ეს გარემოება, როგორც კერძო ადამიანს, ისე მთელს საზოგადოებას, ძალას უკარგავს და ხშირად ბოლოსაც უღებს. პესსიმიზმი ნიშანია სულისა და ხორცის გაქარწყლებისა, ხოლო ოპტიმიზმი სათავეა მუქთახორობისა, რადგან თუ ბუნებასა და ცხოვრებაში ყოველივე კარგადაა მოწყობილი, რაღად უნდა ღელვარებდეს და იტანჯებოდეს ადამიანი?!

საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიკოსნი თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ რევოლიუციას თან უიმედობაც მოჰყვა, რადგან დიდს სისხლის ღვრას ის ღვთაებრივი ბედნიერება არ დაუმკვიდრებია, რომელზედაც ოცნებობდენ საფრანგეთის მოღვაწენი რევოლიუციამდე. ამ გვარად ზომიერების დაცვა დიდად საჭიროა ყოველს მოქმედებასა და აზროვნობაში. ზომიერება-კი მხოლოდ მაშინ შეუძლიან დაიცვას კერძო ადამიანმა, ან მთელმა ერმა, როდესაც ცხადადა აქვს აწონ-დაწონილი ცხოვრება და მისი კანონები. უამისოდ ზომიერება, ეს საუკეთესო საწყაო ადამიანისა, თუ ერის სიმწიფისა, ჰკარგავს თავისს ძალას და იმისს მაგივრად თავს იჩენს გადაჭარბებული სულის მოძრაობა, გადაჭარბებულუიმედობა ან წრეს გადასული იმედიანობა. ადამიანი რომ უზომოდ არ აჰყვეს რომელსამე ამ ორნაირ სულის მოძრაობათაგანს, კარგად უნდა ჰგრძნობდეს თავისს ძალას, აწონდაწონილი უნდა ჰქონდეს როგორც თავისი და საზოგადოების სულიერი ძალა, აგრეთვე გარეშე ქვეყნიერება, საზოგადოდ ცხოვრების ვითარებანი და კანონები. ამ მხრივ ჩვენ ჯერ ნაბიჯი არ გადაგვიდგამს წინ. ჩვენ ჯერჯერობით ვგრძნობთ მხოლოდ, რომ ბევრი რამე გვაკლია, რათა ცოტაოდნად მაინც აზრიანი იყოს ჩვენი ცხოვრება, მაგრამ რა ღონისძიება უნდა ვიღონოთ, რა გზას უნდა დავადგეთ, ამის შესახებ-კი უგულოდ გაასობს ჩვენში დიდი და პატარა, მოხუცებული და ახალგაზდა. აზრის საქმედ გადაქცევა-კი ჯერ ძვირი და იშვიათია ჩვენში. ამ გარემოებაშია დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ გარემოებაში გულ-შემატკივარი, გრძნობებით აღსავსე ადამიანი ადვილად აჰყვება სევდას, ადვილად შეიმოსება პესსიმიზმის ბურუსით. აწმყო გარემოებათა შეცვლა ერთნაირად ეძნელებათ როგორც მესამოცე წლების წარმომადგენელთ, ისე ახალს თაობას. ზოგიერთ გარემოების მიზეზი ჩვენს გარეშეა, და ხელიც არ მიგვიწვდება მათ მოსასპობლად. მაგრამ უსაფუძვლო კი იქმნება, რომ ჩვენს დროს შედარებით მეტი უშინაარსობა დავწამოთ. რაც უნდა ბევრი არა-სასიამოვნო მოვლენა აღვნიშნოთ დღეს, მაინც ჩვენს ცხოვრებას წინ-სვლა, წარმატება ეტყობა; სხვა თუ არა, დღეს ის მაინც ესმის მომეტებულს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას, რომ ამ გვარი ცხოვრება შეუძლებელია, საჭიროა მეტი საქმიანობა, მეტი შრომა და ერთობა. მარტო ამისი შეგნებაც ბევრის მხრივ საიმედოა.

ე. ვაშაკიძე.

*) უსამართლო იქმნება არ აღვნიშნოთ სემინარიელთა შედარებით დიდი ღვაწლი ჩვენის საზოგადოების გონებრივი ზრდა-მატების საქმეში.

ქუჩაზედ შეპარვა, მაგრამ რესპუბლიკის გვარდიამ დააპატიმრა; ამ კაცს გატენილი რევოლვერი უპოვნეს.

„საერო სააგენტოს“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ იმ 14 კაცს შორის, რომელნიც გერენთან ერთად არიან შეკეტილნი, ოთხი ავად არის. ყველას გარდაწყვეტილი აქვთ არ დაჰმორჩილდნენ. თუმცა ანტისემიტთა ლიგამ მოწოდებით მიჰმართა საფრანგეთის მოქალაქეთ ქალთა და კაცთ, რომ შეიბრალეთ შაბროლის ქუჩაზედ შეკეტილნი, რადგან შიმშილით იხოცებსანო, მაინც დღეს შაბროლის ქუჩაზედ ცნობის მოყვარენი ცოტანი იყვნენ.

საბრალმდებლო ნაწილმა დაადგინა: სამართლით დევნა დაუწყოს გაზეთებს: „Intrasigeant“-ს, „Soir“-ს, „Patrie“-ს, „Iourualdu peuple“-ს, რადგან მოქალაქეთ აქეზებდნენ შეკრებილიყვნენ ერთად და თავი მოეყარათ. გარდაწყვეტილია აგრეთვე, რომ სამართლით დაუწყონ დევნა გაზ, „Eeclair“-ს, რომელმაც სიყალბე ჩაიდინა და გამოაქვეყნა ის საბუთის ქაღალდი სადაც ნათქვამია: „ეს გაიძვერა დ.“ კანონიერი ვადა ამ საქმის აღსაძვრელად 15 სექტემბერს თავდება.

# განცხადებანი

**ქალაქ ტფილისის გამგეობა აცხადებს,** რომ 7 სექტემბერს ამა 1899 წელს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა ვერის ხიდზედ გვალის გადასახადის მოკრების იჯარით გასაცემად.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან 12 საათამდე.

(3—6—1)

**ქალაქ ტფილისის გამგეობა აუწყებს ყველას,**

რომ 7 სექტემბერს ამა 1899 წელს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის სადგომში, მოხდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის იმ ბოძების იჯარით გასაცემად, რომლებზედაც განცხადებებს აკრავენ.

პირობების გასინჯვა გამგეობის კანცელარიაში შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან 12 საათამდე.

(3—6—1)

# ბალანსი

## ქუთაისის მიხეილის სახელობაზედ დაარსებულ სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

1899 წლის 1 ივლისისათვის

### აქტივი.

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასაში ნაღდი ფულია | — | — | 39,155 | 36 |
| მიმდინარე ანგარიშთა რაოდენობა: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში | 1,891 | 11 | | |
| ბ) ტფილისის საკომერციო ბანკში | 379 | 77 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | 1,370 | 27 | | |
| დ) კორესპონდენტებთან | 133,359 | 69 | 137,000 | 84 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო %%-იანი ქაღალდები შენახული სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში: | | | | |
| ა) გირავ. ფურც. გამოცემის უზრუნველ საყოფელად (§ 50 წესდებისა) (220,000) | 203,704 | 02 | | |
| ბ) გირ. ფურც. და კუპონების გამოსასყიდად (50,000) | 46,924 | 89 | | |
| გ) სათადარიგო თანხისა (90,600) | 86,150 | 78 | 336,779 | 69 |
| დანარჩენი ფასიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) ბანკის საკუთრებანი (68,400) | 67,138 | 43 | | |
| ბ) სათადარიგო თანხა (5,800) | 5,695 | 71 | 72,834 | 14 |
| %% სახელმწიფო % ქაღალდების 1899 წლის 1 ივლისამდე | — | — | 1,273 | 44 |
| გასაცემად დანიშნული სესხი | — | — | 58,600 | „ |
| სესხი: ა) მიწის გირავნობაში მისაცემი | 1.299,874 | 70 | | |
| ბ) ქალაქის მამულებისა | 1.673,847 | 85 | | |
| გ) მოკლე ვადიანნი | 298,528 | — | 3.272,250 | 55 *) |
| გარდასახადი მსესხებლებზედ: | | | | |
| ა) შელავათიანი. ხანგრძლივის სესხით | 121,420 | 10 | | |
| ა) შელავათიანი. მოკლე ვადით | 13,312 | 78 | 134,732 | 88 |
| ბ) ვადას გადაცილებული. ხანგრძლ. სესხით | 68,347 | 28 | | |
| ბ) ვადას გადაცილებული. მოკლე ვადიანი | 7,977 | 04 | | |
| გ) ჯარიმა | 5,742 | 22 | 82,066 | 54 |
| გარდახდა სესხისა გირავნობის ფურცლებით | — | — | 5,700 | „ |
| აღებულის სესხის ნაღდის ფულით გარდახდა | — | — | 79,749 | 31 |
| ვადამდის გარდახდილი ფული კუპონებით | 2,290 | „ | | |
| გარდახდილი ფული ტირაჟში გამოსულ გირავნობ. ფურცლებით | 17,000 | „ | 19,290 | „ |
| სხვა-და-სხვა მოვალენი | — | — | 4, 962 | 02 |
| დასაბრუნებელი ხარჯი: | | | | |
| ა) მსესხებლებისაგან | 13,728 | 66 | | |
| ბ) მამულებისა, რომლებიც ბანკს დარჩა | 11,102 | 43 | | |
| გ) სასამართლოს საქმეებისა | 1,507 | 56 | 26,338 | 65 |
| მოწყობა მომართვის ხარჯი | — | — | 1,240 | 93 |
| მართვა-გამგეობის ხარჯი | 16,794 | 78 | | |
| არა ჩვეულებრივი | 5,592 | 20 | 22,386 | 98 |
| კუპ. და გირავნობ. ფურცლები განაღდ. კომ. | — | — | 546 | 64 |
| 5% გარდასახადი მოგებისა | — | — | 3,138 | 84 |
| ორჯელ ათის წლის საკუპონე ფურცლები | — | — | 7,695 | „ |
| გირავნობის ფურცლების ტალონები | — | — | 53,200 | „ |
| გერბის გარდასახადი | — | — | 578 | „ |
| გირავ. ფურც., რომლებიც კომის. იქმნა მიღებული (50,500) | — | — | 47,975 | „ |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 4.407,524 | 81 |

შენიშვნა: %% ქაღალდ. ბანკის კასსაში და კორესპონდ. 189,000 — „
შესანახად გამოცემ. გირავნ. ფურც. 15,200 — „

*) იმათ რიცხვში იმ მამულებზედაც, რომლებიც დარჩენილია ბანკზედ: სოფლისა 163,272—96
ქალაქისა 17,717—80

### პასსივი.

| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| საერთოდ გამოღებული თანხა | | 609,589 | 16 | | |
| სათადარიგო თანხა | | 104.666 | 17 | 714,255 | 33 |
| საზოგადო სასარგებლო თანხა | | — | — | 4,855 | 41 |
| გამოსაცემი გირავნობის ფურცლები | $36^4/_{12}$ წ. | 56,600 | „ | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 2,000 | „ | 58,600 | „ |
| გირავნობის ფურცლები, რომლებიც უკვე წარმოებაშია | $48^8/_{12}$ წ. | 582,300 | „ | | |
| | $36^4/_{12}$ წ. | 873,100 | „ | | |
| | $43^1/_2$ წ. | 758,800 | „ | | |
| | $18^7/_{12}$ წ. | 121,300 | „ | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 717,400 | „ | 3.052,900 | „ |
| თავნის გასასტუმრებელი ფონდი | $48^8/_{12}$ წ. | 1,916 | 28 | | |
| | $43^1/_2$ წ. | 5,838 | 47 | | |
| | $18^7/_{12}$ წ. | 12,713 | 56 | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 16,460 | 73 | | |
| | $36^4/_{12}$ წ. | 5,114 | 23 | 42,043 | 27 |
| სარგებლის ფონდი | 6% სესხ. | 26,403 | „ | | |
| | 5% „ | 54,320 | „ | 80,723 | „ |
| მომავალში გარდასახდელია | | — | — | 42 | 36 |
| გასაცემად გადადებული თანხა: | | | | | |
| ა) გირავნობის ფურცლები, რომლებიც ტირაჟში გამოვიდნენ | | 165,700 | „ | | |
| ბ) გირავნობის ფურცლის გარდასახდელი კუპონები | | 82,205 | 50 | 247,905 | 50 |
| ვადამდე მოსას. დანიშ. სესხნი ნაღდი ფულით | $43^1/_2$ წ. | 30,744 | 33 | | |
| | $18^7/_{12}$ წ. | 978 | 81 | | |
| | $48^8/_{12}$ წ. | 2,925 | 26 | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 2,959 | 18 | | |
| | 36 წ. | 98 | 46 | 37,706 | 04 |
| გირავნობის ფურცლებით | $48^8/_{12}$ წ. | 3,400 | „ | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 2,300 | „ | 5,700 | „ |
| მოკლე ვადიან სესხთა სარგებელი | | 28,665 | 20 | | |
| ჯარიმა | | 8,554 | 84 | | |
| ერთხანად შემოტანილი ფული | | 1,008 | 72 | | |
| სხვა-და სხვა სარგებელი | | 10,294 | 22 | | |
| წლიური შესატანი გამგეობის ხარჯის შესავსებლად, საზოგადო საჭიროებათა შესადგენ თანხისათვის და სხვ. | | 36,137 | 50 | | |
| გაყიდულ მამულების მოგება | | 2,607 | 71 | 87,268 | 19 |
| გარდამავალნი ჯამნი | | — | — | 9,697 | 43 |
| სხვა-და-სხვა მსესხებელნი | | — | — | 3,251 | 66 |
| ცეცხლისაგან დაზარებულთა დასაჯილდოვებლად | | — | — | 1,614 | 58 |
| შესაცვლელ კუპონების ფურცლები | | — | — | 7,695 | „ |
| გირავნობის ფურცლების ძველი გასაუქმებელი ტალონები | | — | — | 53,200 | „ |
| 5% სახელმწ. გარდასახ. კუპონ. | | — | — | 67 | 04 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | — | — | 4.407,524 | 81 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.